ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N54

ქ.თბილისი 28 თებერვალი, 2020 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ირაკლი ზარქუა

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი	გიორგი ბირბიჩაძე
რამინა ბერაძე	გულია გოცირიძე
ოთარ გრიგოლია	ლევან დავითაშვილი
ბექა დავითულიანი	გიორგი დოხტურიშვილი
ლევან დარახველიძე	თევდორე ისაკაძე
ფრიდონ ინჯია	ანა ლაშხი
ნინო ლაცაბიძე	თინათინ ნიბლოშვილი
ქეთევან მამულაშვილი	ნინო რუხაძე
შალვა ოგბაიძე	თამარ ტალიაშვილი
ლევან ჟორჟოლიანი	ვახტანგ შაქარიშვილი
დათო რურუა	გიორგი ჩაკვეტაძე
რევაზ სოხაძე	ვლადიმერ ძნელაძე
დავით უთმელიძე	ილია ჯიშკარიანი
ავთანდილ ცინცაძე	ქეთევან ჯოხაძე
დავით ჭელიძე	

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი გიგა გიგაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი გიორგი ებანოიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ჯუმბერ ყანდარელი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსი ირაკლი თავართქილაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სოციალური მზრუნველობის სააგენტოს“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

3. „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიგა გიგაშვილი

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53–22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

5. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M_3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კონსალტინგ გრუპს“ (უფლებამონაცვლე შპს „სითი ბოქსი“, ს/კ.: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის“ (ს/კ.: 439402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

7. „ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში არსებული 210 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.44.142) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N8-ში (ნაკვეთი N05/040, საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.040.01.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისში, ფაღავას ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.01.012.006.01.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხის N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.079.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.041.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ჩიხი N5-ის კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.056.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, შავთელის ქუჩა N26-ის მიმდებარედ 50 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.18.03.016.047) პირდაპირი განკარგვის წესით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრისთვის (ს/ნ.: 204390159) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, ემირ ბურჯანაძის N49-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.021.028) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში (ყოფილი თემქა) მე-11 მიკრო/რაიონის I კვარტალის N20ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.02.014.061) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N44-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა N49-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.001.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის N402 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა N30-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ.: N01.10.17.023.001.00.01.032) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის“ (ს/კ.: 405185400) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისში, ანჩისხატის ეკლესიის მიმდებარედ არსებული 58 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.015.015) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ებანოიძე

თანამომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

21. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ებანოიძე

22. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.399) სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

23. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.23.160; N72.16.23.161; N72.16.23.162; N72.16.23.163; N72.16.23.164; N72.16.23.165; N72.16.23.334; N72.16.23.742) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

24. „ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვასკაიას ქუჩა N31-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.006.118) „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადმინისტრაციული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

25. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, თელეების მიწაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.23.723, N72.16.23.724, N72.16.23.725, N72.16.15.615, N72.16.15.614, N72.16.23.711, N72.16.23.712, N72.16.23.713, N72.16.23.714) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

26. „ქ.თბილისში, დიდი დიღმის საცხოვრებელ რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.07.003.013), საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 29 მაისის N1405

განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ჯუმბერ ყანდარელი

27. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის შესახებ".

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სოციალური მზრუნველობის სააგენტოს" დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ „ბავშვის უფლებათა კოდექსიდან" გამომდინარე, მუნიციპალიტეტი ვალდებულია მიმდინარე წლის 1 მარტამდე ჩამოაყალიბოს ბავშვის უფლებების დაცვის მუნიციპალური სამსახური, რომელიც ოჯახებსა და სხვადასხვა კერძო თუ საჯარო დაწესებულებებში განახორციელებს ბავშვთა უფლებების შესწავლას. აღნიშნული ძირითადად მიმართული იქნება პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისკენ, რომელიც შემდგომში, ბავშვების საჭიროების მიხედვით, დაექვემდებარება სხვადასხვა სამინისტროებში რეფერირებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის ბიუჯეტში ასახვიდან გამომდინარე, დამტკიცდება წესი, რომელიც ითვალისწინებს ამ პროგრამის ბენეფიციარებისთვის ორი ძვირადღირებული პრეპარატის დაფინანსებას. სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის დაფინანსება იქნება სრული, ხოლო მათთვის, ვინც არ არის სოციალურად დაუცველი დაფინანსება იქნება 80%. იქიდან გამომდინარე, რომ ამ ეტაპზე, ბენეფიციარების რაოდენობასთან დაკავშირებით არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა,

შეიძლება ითქვას, რომ თბილისის მასშტაბით, აღნიშნული პროგრამით ისარგებლებს დაახლოებით 180 პაციენტი.

გიორგი ბირბიჩაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამა ერთ-ერთი იმ უმნიშვნელოვანეს პროგრამათაგანია, რომელიც ძალიან ბევრი ადამიანის სიცოცხლეს გადაარჩენს და გააუმჯობესებს მათ ყოფას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიგა გიგაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილ ზონებში, აკრძალული იქნება მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონის ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის, როგორც განთავსება, ასევე რეალიზაცია. განსაზღვრული იქნება პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ის შენობა-ნაგებობა, სადაც დასაშვები იქნება მსგავსი ტიპის პროდუქტის განთავსება და რეალიზაცია. წესი, ასევე დაარეგულირებს ფეთქებადი და ადვილად აალებადი ნივთიერებების, მათ შორის, იმ ნივთიერებების, რომლებიც დიდი საფრთხის შემცველ ჯგუფს მიეკუთვნება, შენახვისა და რეალიზაციის წესს.

გიორგი დოხტურიშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი საკითხი დედაქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ გადადგმული ნაბიჯია, ხოლო, რაც შეეხება მეწარმეებს, საქმიანობა წესთან შესაბამისობაში რომ მოიყვანონ, ექნებათ გონივრული ვადა, რაც ხელის შემშლელი არ იქნება ბიზნესის წარმოებისთვის.

მარიკა დარჩიამ განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროექტი მიმართულია დედაქალაქში არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ, რაც საკმაოდ დიდი ხნის მოუგვარებელი პრობლემაა. თუმცა, საინტერესოა, ქალაქი შექმნის თუ არა რაიმე კონკრეტულ ადგილებს ზემოთ ხსენებული პროდუქტის შენახვისა და მეორეული გადამუშავებისთვის.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროექტი ემსახურება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე გამოთქმული იქნა რამდენიმე შენიშნვა, რომლებიც გაზიარებული იქნა, თუმცა, კომისიის დასკვნაში ასევე მოცემულია რეკომენდაციები, რომ შესაბამისმა საქალაქო სამსახურებმა, უახლოეს პერიოდში, იმსჯელონ იმ მუნიციპალური და სახელმწიფო ობიექტებისთვის გარკვეული გამონაკლისების დაშვებაზე, რომლებიც ხვდებიან აკრძალვის ზონაში. ასევე, მნიშვნელოვანია, მსჯელობა სპეც.ზონა 3-ში ზემოთ ხსენებული ნივთირებების აკრძალვასთან დაკავშირებით, რადგან ამ ზონაში მოიაზრება სამხედრო ობიექტები, სადაც ფეთქებადი და ადვილად აალებადი ნივთიერებების განთავსება შეზღუდვადი არ უნდა იყოს. ლევან ჯორჟოლიანმა იმედი გამოთქვა, რომ შესაბამისი სამსახურები იმუშავებენ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის რეკომენდაციებზე, რათა ამ მიმართულებით გადაიდგას სწორი ნაბიჯები და წესი იყოს კიდევ უფრო სრულყოფილი.

გიგა გიგაშვილმა განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, წესის ამოქმედება გათვალისწინებულია 2020 წლის 1 მაისიდან, ხოლო დაჯარიმების შესაძლებლობა მუნიციპალიტეტს ექნება 2021 წლის 1 იანვრიდან. შესაბამისად, დრო საკმარისია იმისთვის, რომ დედაქალაქში ეკონომიკური საქმიანობით დაკავებულმა პირებმა არსებული ობიექტები შესაბამისობაში მოიყვანონ წესით განსაზღვრულ რეგულაციებთან. რაც შეეხება პროდუქტის მეორეულ გადამუშავებას, ამასთან დაკავშირებით სახელმწიფოს არ აქვს სპეციალური პროგრამები, თუმცა აქვს მეორეული პროდუქტის, მათ შორის, საბურავების, ჯართის და ა.შ. გამოყენების წახალისება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის N53–22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ მიმდინარე წლის 1 მარტიდან ლიკვიდირებულია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური და მის ნაცვლად ჩამოყალიბებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო. იქიდან გამომდინარე, რომ სსიპ არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, M2 კატეგორიის ავტობუსებით შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურებას სააგენტო უზრუნველყოფს დამოუკიდებლად.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ მიმდინარე წლის 1 მარტიდან ლიკვიდირებულია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური და მის ნაცვლად ჩამოყალიბებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო. იქიდან გამომდინარე, რომ სსიპ არის დამოუკიდებელი იურიდიული

პირი, M3 კატეგორიის ავტობუსებით და მეტროთი შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურებას სააგენტო უზრუნველყოფს დამოუკიდებლად.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე შპს „სითი ბოქსი", ს/კ.: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის" (ს/კ.: 439402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია „9 აპრილის პარკში" არსებული რეტერატის გადატანა რიყის ტერიტორიაზე. ამასთანავე, კომპანიას ეპატიება ამ კონკრეტული რეტერატის განთავსების ფარგლებში დარიცხული პირგასამტეხლო, რადგან აღნიშნული რეტერატის გადატანა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მოთხოვნით.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით არ აქვს კითხვები, თუმცა, არის რამდენიმე საკითხი, რომლებთან დაკავშირებითაც საჭიროა ქონების მართვის სააგენტოს უფროსისგან განმარტებების გაკეთება. აღნიშნა, რომ მიმდინარე კვირის ორშაბათს ვარკეთილის მოსახლეობასთან შეხვედრაზე არ მივიდნენ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლები, რაც, მისი თქმით, არასწორი დამოკიდებულებაა, რადგან მსგავსი შეხვედრები იმართება მოსახლეობისთვის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით და მიმართა ირაკლი თავართქილაძეს, გაითვალისწინოს აღნიშნული და მომავალში აუცილებლად მივიდეს მოსახლეობასთან დაგეგმილ შეხვედრაზე. რევაზ სოხაძის თქმით, ქონების მართვის სააგენტო ორიენტირებული უნდა იყოს არა მხოლოდ ქონების გასხვისებაზე, არამედ მის მართვაზე და დაინტერესდა, რამდენად მიზანშეწონილია, კონკრეტულ ტერიტორიაზე, მაგალითად, ტაბახმელაში გარკვეულ არეალებზე, დადგინდეს შეზღუდვები, რათა სამომავლოდ იქ მოეწყოს საგზაო ინფრასტრუქტურა, ხოლო შინდისში, გასხვისდეს ამავე ტიპის მიწის ნაკვეთი. განაცხადა, რომ კვლევის არეალში არსებული მიწის ნაკვეთების გასხვისება აუცილებლად უნდა შეთანხმდეს ქალაქის ურბანულ სამსახურთან, რადგან მუნიციპალიტეტმა არ გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომლის გამოსწორებაც მოუწევს მომავალში. რევაზ სოხაძემ ასევე, ისაუბრა მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ აუქციონზე, რომელიც ეხება ვაჟა-ფშაველას გამზირზე ერთ-ერთი მშენებლობის წინ არსებული ტერიტორიის გასხვისებას და განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, რატომ შეიძლება მოხდეს ისეთი ტერიტორიის გასხვისება, რომელიც შეჭრილია ტროტუარზე. მისი თქმით, მსგავსი ტიპის წითელი ხაზების შეჭრა ვაჟა-ფშაველას გამზირზე არ არსებობს, რადგან წითელი ხაზები მთელ გამზირზე განლაგებულია ერთ ზოლში. გარდა ამისა, ამ ტერიტორიის გასხვისება მიუღებელია გენ.გეგმის თვალსაზრისითაც, რადგან ის არის რეკრეაციული სივრცე და არ რჩება ადგილი ფეხით მოსიარულეთათვის. მისი თქმით, გაუაზრებლად ტერიტორიების გაყიდვიდან დამდგარი შედეგების გამოსწორება ქალაქს მილიონობით ლარი უჯდება და იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთის გასხვისება დაუშვებელია, ითხოვა აუქციონის შეჩერება.

გიორგი ბირბიჩაძემ აღნიშნა, რომ რევაზ სოხაძის მიერ ხსენებული ტერიტორია მდებარეობს მის სამაჟორიტარო ოლქში და განაცხადა, რომ თუ რეალურად საუბარია ტროტუარის

გაყიდვაზე, დაუშვებელია და აუქციონი შესაწყვეტია, რადგან იმ არეალზე რჩება ერთი გამწვანებული ზოლი და შესაძლებელია აღარ დარჩეს ადგილი ფეხით მოსიარულეთათვის.

ირაკლი თავართქილაძემ, ვარკეთილში მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე არ მისვლაზე განაცხადა, რომ ინფორმირებული არ იყო შეხვედრის კონკრეტულ დროზე, რამაც, მისი თქმით, გამოიწვია „გაუგებრობა". კვლევის არეალებში მიწის ნაკვეთების გასხვისებაზე განმარტა, რომ აუქციონზე გატანილია მხოლოდ რამდენიმე მცირე ზომის წვრილი ზოლი, რომელიც შეთანხმებულია ურბანულ სამსახურთან და ზოგადად, ყველა მიწის ნაკვეთის გასხვისება, რომლის ფართობიც აღემატება 100 კვ.მ.-ს, თანხმდება ურბანულ სამსახურთან. ხოლო, რაც შეეხება 100 კვ.მ.-მდე მიწის ნაკვეთებს, რევაზ სოხაძის მიერ ხსენებულ არეალებში 3-4 ამ ზომის მიწის ნაკვეთის გასხვისება საერთო სურათს არ შეცვლის, რადგან იმ არეალის ირგვლივ, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არის ასობით ათასი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი და შესაბამისად, საკმარისი ტერიტორიაა გზების თუ სხვა ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებული მიწის ნაკვეთის გასხვისებასთან დაკავშირებით გამოცხადებულ აუქციონზე განმარტა, რომ ახალი გენ.გეგმით, როგორც ხსენებულ, ასევე მთელ ზოლზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 და რადგან ასფალტია დაგებული, არ ნიშნავს, რომ იქ არის ტროტუარი. ამ ტერიტორიაზე ტროტუარი რჩება დაახლოებით 4 მეტრზე მეტი, თავისი გამწვანების ორი ზოლით. აქვე აღნიშნა, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე შემოვლებულია სამშენებლო ღობე, სადაც ნაწილობრივ შესულია გასაყიდად წარმოდგენილი საკადასტრო კოდი. სწორედ აქედან გამომდინარე აღიქმება, რომ იყიდება ტერიტორიის საფეხმავლო ნაწილი, თუმცა ეს არის კერძო საკუთრების მიმდებარე ტერიტორია.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა ზონალური სტატუსი ვრცელდება ამა თუ იმ ტერიტორიაზე, რადგან ეს არ ნიშნავს იმას, რომ საცხოვრებელ ან საზოგადოებრივ-საქმიან ზონაში არ არის გზები. თბილისში, გზების და ტროტუარების დიდ ნაწილზე არ ვრცელდება სატრანსპორტო ზონა, თუმცა ეს მუნიციპალიტეტს არ აძლევს იმის საშუალებას გაყიდოს შიდა საუბნო გზები ან ტროტუარები, რომლებზეც ვრცელდება, თუნდაც საცხოვრებელი ზონა. რევაზ სოხაძის თქმით, ის, რომ ხსენებულ ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა, არის გენ.გეგმის ხარვეზი, რადგან მის გაგრძელებაზე და ქვევით არსებულ ტერიტორიაზე ვრცელდება სატრანსპორტო ზონა. რაც შეეხება იმას, რომ საკადასტრო ერთეული ნაწილობრივ შესულია სამშენებლო ღობეში და ტროტუარი რჩება 4 მეტრი, განაცხადა, რომ არც ქონების სააგენტოს წარმომადგენლებისთვის და არც საკრებულოს წევრებისთვის არავის მიუცია ის უფლებამოსილება, რომ თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტონ რამდენი მეტრი უნდა იყოს ტროტუარი და თუ აღნიშნულ ტერიტორიაზე დაგეგმილია, რომ ტროტუარი უნდა იყოს 10 მეტრი, ეს უნდა დარჩეს ასე, რადგან არავითარი ლოგიკა არ არის იმაში, რომ ფეხით მოსიარულეთათვის რჩება 4 მეტრი და საკმარისია. რევაზ სოხაძე ასევე, გამოეხმაურა შინდისში არსებული მიწის ნაკვეთების გაყიდვასთან დაკავშირებით გაკეთებულ განმარტებას და განაცხადა, რომ არასწორი დამოკიდებულებაა „არაფერს ნიშნავს 100 და 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთი", რადგან ვაკის პარკში 2000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ, მუნიციპალიტეტმა კერძო მესაკუთრეს გადასცა 11 ჰექტარი მიწის ნაკვეთი.

ოთარ გრიგოლიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნება, აღნიშნული საკითხი დეტალურად იქნას განხილული ურბანულ სამსახურთან ერთად და გადაწყვეტილება მივიღოთ იქიდან გამომდინარე, თუ რა უფრო მიზანშეწონილი იქნება ქალაქისთვის და მოსახლეობისთვის.

ირაკლი თავართქილაძემ განაცხადა, რომ მიწის ნაკვეთის საკუთრება არ ნიშნავს იმას, რომ იქ აუცილებლად რამე აშენდება და შესაბამისად, არასწორია დამოკიდებულება, თითქოს ტროტუარი აღარ იქნება. აღნიშნული მიწის ნაკვეთი დამოუკიდებლად ვერ განვითარდება, მას ყიდულობს მიმდებარე ტერიტორიის მესაკუთრე და იქ ცალკე შენობის დადგმის ნებართვა არ გაიცემა, რადგან მინიმალურ პარამეტრებსაც არ აკმაყოფილებს.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია ქონების მართვის სააგენტო და ურბანული სამსახური ერთმანეთთან უფრო მეტ კოორდინაციაში იყოს.

ბექა დავითულიანმა განაცხადა, რომ გასაგებია კოლეგების წუხილი, რადგან ფაქტობრივი მოცემულობით, ხსენებულ ტერიტორიაზე არის ტროტუარი და შესაბამისად, ყველას აღელვებს საზოგადოებრივი სივრცეების სიმცირე, თუმცა, ასევე გასაგებია ირაკლი თავართქილაძის პოზიციაც იმ თვალსაზრისით, რომ ქონების მართვის სამსახური ხელმძღვანელობს ტერიტორიაზე არსებული ზონირებით და დაეთანხმა გიორგი ტყემალაძის მოსაზრებას, რომ საჭიროა მეტი კომუნიკაცია შესაბამის სამსახურებს შორის, ხოლო თუ არსებობს რაიმე პრობლემატური საკითხები, საკრებულოს წევრები მზად არიან, მერიის წარმომადგენლებთან ერთად, დეტალურად განიხილონ თითოეული მათგანი.

გიორგი ბირბიჩაძემ აღნიშნა, რომ ზემოთხსენებული აუქციონი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, მის დასრულებამდე დარჩენილია დაახლოებით 12 წუთი და ითხოვა აუქციონის შეჩერება, თუ, რა თქმა უნდა, არსებობს ამისთვის საჭირო იურიდიული ბერკეტი.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ აუქციონის შეჩერებისთვის საჭიროა ქ.თბილისის მუნიციპლიტეტის მერის ან სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც 12 წუთში ვერ მოესწრება.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ საკრებულოს წევრები გააკონტროლებენ იმას, შემოღობავს თუ არა კერძო მესაკუთრე აღნიშნულ ტერიტორიას და თუ შემოღობავს, მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ამ ქონების გასხვისებასთან დაკავშირებით, იქნება ძალიან ცუდი.

ირაკლი ზარქუამ განაცხდა, რომ მსგავსი შემთხვევები აქამდეც ყოფილა და შესაძლებელია კიდევ იყოს და იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული გარკვეული ინტერპრეტაციები და ზედმეტი ვნებათა ღელვა, უმჯობესი იქნება, საკრებულოს წევრების მაქსიმალური ინფორმირება და საკითხის გადაწყვეტა ერთობლივი კომუნიკაციით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში არსებული 210 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N72.13.44.142) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ წყალსაქაჩის დამონტაჟების მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N8-ში (ნაკვეთი N05/040, საკადასტრო კოდი: N01.19.19.005.040.01.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 48 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1998 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისში, ფაღავას ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.01.012.006.01.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 47 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 25 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის II ჩიხის N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.079.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 69 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 1990 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.041.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“

უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 132 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 1992 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ჩიხი N5-ის კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.056.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 69 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2003 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისში, შავთელის ქუჩა N26-ის მიმდებარედ 50 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.18.03.016.047) პირდაპირი განკარგვის წესით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის მარიონეტების პროფესიული სახელმწიფო თეატრისთვის (ს/ნ.: 204390159) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში გამწვანების, დეკორატიული ხე-მცენარეებისა და საყვავილეების განთავსების მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისში, ემირ ბურჯანაძის N49-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.021.028) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 381 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა ოთხი ოჯახისთვის, რომელიც 2005-2008 წლებიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში (ყოფილი თემქა) მე-11 მიკრო/რაიონის I კვარტალის N20ᵇ-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.02.014.061) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 153 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა ოთხი ოჯახისთვის, რომელიც 2006 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N44-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 651 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა თერთმეტი ოჯახისთვის, რომელიც 2000-2003 წლებიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა N49-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.001.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 დეკემბრის N402 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია საკადასტრო კოდში ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩა N30-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ.: N01.10.17.023.001.00.01.032) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციისთვის“ (ს/კ.: 405185400) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 93 კვ.მ. ფართის გადაცემა, სოციალური პროექტის განხორციელებისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „ქალაქ თბილისში, ანჩისხატის ეკლესიის მიმდებარედ არსებული 58 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.015.015) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ აღნიშნული ტერიტორია არის გამწვანების ზოლის ნაწილი და იქიდან გამომდინარე, რომ დანარჩენი ნაწილი უკვე გადაცემულია საპატრიარქოსთვის, ამ ეტაპზე წარმოდგენილია ზემოთ ხსენებული ნაწილის გადაცემა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ებანოიძემ და განმარტა, რომ ამ ეტაპზე, განსახილველად წარმოდგენილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილები: N11-0320052153-03 თარიღი: 22.03.2020; N12-0320052157-03 თარიღი: 22.03.2020; N12-03200578-03 თარიღი: 27.03.2020; N12-03200582-03 თარიღი: 28.03.2020; N12-032005845-03 თარიღი: 28.03.2020. ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით წარმოდგენილია 13 პოზიცია, რომლებიც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციების გათვალისწინებით, დადებითად შეფასდა. ასევე, წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ცვლილებები, კერძოდ, გარკვეულ

ტერიტორიებზე მიმდინარე კვლევებიდან გამომდინარე, ზონის სტატუსის ცვლილებაზე გამონაკლისების დაშვება და ერთ-ერთი გრგ-ს შეტანა სარევიზიო გრგ-ების სიაში.

გიორგი დოხტურიშვილი დაინტერესდა, როდის დასრულდება ზემოთ ხსენებული კვლევა.

გიორგი ებანოიძემ განმარტა, რომ კონკურსი მოიცავს სამ ეტაპს: კვლევას, სცენარების შემოთავაზებას და დეტალურ გეგმარებას. ამ ეტაპზე დასრულებულია კვლევა და დასრულების პროცესშია მეორე ეტაპი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

21. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ებანოიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია, როგორც ტექნიკური ხასიათის, ასევე, შინაარსობრივი ცვლილებები, რომლებიც განხილულია საკრებულოს შესაბამისი კომისიების მიერ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

22. „ქალაქ თბილისში, სოფელ ლისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.399) სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ ტერიტორიის სამშენებლო განვითარება ხდება სარეკრეაციო ზონა 3-ის ფუნქციით, სადაც დაგეგმილია სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რომლის კონცეფცია, ტერიტორიაზე არსებული ურბანული გარემოდან გამომდინარე, მისაღებია და აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

23. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.23.160; N72.16.23.161; N72.16.23.162; N72.16.23.163; N72.16.23.164; N72.16.23.165;

N72.16.23.334; N72.16.23.742) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1-ს სტატუსი, რომლის შესაბამისადაც ხდება სამშენებლო განვითარება. განაშენიანების წარმოდგენილი კონცეფცია, ტერიტორიაზე არსებული ურბანული გარემოდან გამომდინარე, მისაღებია და აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

24. „ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვასკაიას ქუჩა N31-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.006.118) „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადმინისტრაციული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმა სრულად შეესაბამება დამტკიცებული გეგმარებითი დავალების პირობებს, შენობების განთავსებისას გათვალისწინებულია კანონმდებლობის მოთხოვნები, დაცულია ტერიტორიის განვითარებისთვის საჭირო ყველა ძირითადი პარამეტრი და ასევე, მისაღებია ურბანული თვალსაზრისით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

25. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, თელეების მიწაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.23.723, N72.16.23.724, N72.16.23.725, N72.16.15.615, N72.16.15.614, N72.16.23.711, N72.16.23.712, N72.16.23.713, N72.16.23.714) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმა სრულად ითვალისწინებს გეგმარებითი დავალებით განსაზღვრულ პირობებს, სადაც დაგეგმილია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანება. ასევე, ტერიტორიის მცირე ნაწილზე, რომელზეც მოწყობილია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, წარმოდგენილია შესაბამისი სატრანსპორტო ზონის სტატუსის ცვლილება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

26. „ქ.თბილისში, დიდი დიღმის საცხოვრებელ რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.07.003.013), საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 29 მაისის N1405 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ჯუმბერ ყანდარელმა და განმარტა, რომ კორექტირებით წარმოდგენილია რამდენიმე შენობისთვის თითო სართულის დამატება, რაც განპირობებულია იქ არსებული განაშენიანებიდან გამომდინარე. ტერიტორიის განაშენიანება ხდება რამდენიმე სექტორად, ხოლო ცვლილება ეხება მხოლოდ მეორე სექტორს, რაც არსებითად აუმჯობესებს იქ არსებულ საცხოვრებელ გარემოს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

27. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 6 დადგენილება და 21 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი